სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

**ქალბატონო თამარ,**

მოგახსენებთ, რომ შპს „ბუქსი ჰესმა“ 2022 წლის 30 მარტის N7350 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში განსახილველად წარადგინა სკრინინგის განცხადება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 14 აპრილის N3749/01 წერილით კომპანიას წარმოედგინა სამინისტროს პოზიცია სკრინინგის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული წერილის შესაბამისად, ვინაიდან „ბუქსი ჰესი“ ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლიდან, ჰესის სათავე წყალმიმღები კვანძის შემადგენლობაში შემავალი კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის მოცულობის გათვალისწინებით „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად **წყალსაცავის (10 000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის) მოწყობა** ექვემდებარებოდა ეკოლოგიურ ექსპერტიზას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მოგახსენებთ რომ 2022 წლის 30 მარტის N7350 წერილით წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში კაშხლის მაქსიმალური შეტბორვის მოცულობა მითითებულია მდ. გუბაზეულის ბუნებრივი კალაპოტის ფართობის, რომელშიც მდინარე მოედინება და იტბორება ჰესის არსებობის მიუხედავად.

ამასთან, 2023 წლის იანვრის თვეში კონტრაქტორის მიერ „ბუქსი ჰესის“ სათავე ნაგებობაზე წყლის შეტბორვის ადგილას ჩატარდა აზომვითი სამუშაოები წყლის მოცულობის დასადგენად. ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ კაშხლის ტერიტორიაზე მდ. გუბაზეულის ბუნებრივ კალაპოტთან მიმართებაში მოწყობილი დამატებითი შეტბორვის რეზერვუარში წყლის მოცულობა 2023 წლის 23 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 4308 მ³-ს, ხოლო წელიწადის იმ დროს როცა მდინარე ყველაზე წყალუხვია წყლის შეტბორვის ადგილი ისე მოწყობილი რომ შეუძლია შეაგროვოს დაახლოებით 8156 მ³. გაზომვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დანართის სახით ახლავს წერილს.

დამატებით, სს „ალიანს ენერჯის“ 2012 წლის 25 იანვრის N26/01-28 წერილით საქართველის გარემოს დაცვის სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია ჰესის ტექნიკური დეტალების შესახებ. საქართველის გარემოს დაცვის სამინისტროს 2012 წლის 30 იანვრის საპასუხო წერილში საუბარია მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეზე.

ამასთან, მოგახსნებეთ რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2014 წლის 30

გარემოს ეროვნული სააგენტო
„22“ 02 2023
№ 1418

ოქტომბრის N136/01-06 ბრძანებით გაცემულია ნებართვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუქსიეთთან, მდინარე გუბაზეულის ხეობაში (1.99 მგვტ) ჰიდროელეტროსადგურის მშენებლობაზე და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 19 ივლისის N35-02 ბრძანებით გაცემულია ნებართვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუქსიეთთან, მდინარე გუბაზეულის ხეობაში (1.99 მგვტ) ჰიდროელეტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზუსტებთ რომ „ბუქსი ჰესის" ექპლუატაციის პროცესში მაქსიმალური შეტბორვის შემთხვევაში წყალსაცავის მოცულობა ნაკლებია 10 000 მ³-ზე, შესაბამისად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს „ბუქსი ჰესის" ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

**დანართები**

1. აზომვითი სამუშაოების შედეგები - 1 ეგზემპლიარი, 4 გვერდად (ელექტრონული ვერსია);
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2014 წლის 30 ოქტომბრის N136/01-06 ბრძანება - 1 ეგზემპლიარი, 2 გვერდად (ელექტრონული ვერსია);
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის 19 ივლისის N35-02 ბრძანება - 1 ეგზემპლიარი, 1 გვერდად (ელექტრონული ვერსია);
4. საქართველის გარემოს დაცვის სამინისტროს 2012 წლის 30 იანვრის წერილი - 1 ეგზემპლიარი, 1 გვერდად (ელექტრონული ვერსია);
5. შპს „ბუქსი ჰესის" ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ელექტრონული ვერსია);
6. საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) - (ელექტრონული ვერსია).
7. მინდობილობა - 8 გვერდი

პატივისცემით,

სს „ბუქსი ჰესი" -ს დირექტორის მინდობილი პირი

ირაკლი გაფრინდაშვილი

Irakli Gaprindashvili 01017014587

Digitally signed by Irakli Gaprindashvili
Date: 2023.02.22 12:01:45